ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძე”

მისამართი: ქ. თბილისი, ლ. არდაზიანის ქუჩა №30. ს/კ 01024028796. ტელ: 599 37 14 02

დამკვეთი: შპ.ს. „გაგრა პლიუსი” ს/კ 250723971

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა №12-ში არსებული შენობა-ნაგებობის (საწყობი) მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის და შესასრულებელი სამუშაოების შესაძლებლობის შესახებ

ქ. თბილისი 2014 წელი

ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძე”

მისამართი: ქ. თბილისი, ლ. არდაზიანის ქუჩა №30. ს/კ 01024028796. ტელ: 599 37 14 02

დამკვეთი: შპ.ს. „გაგრა პლიუსი” ს/კ 250723971

ექსპერტიზის დასკვნა

ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა №12-ში არსებული შენობა-ნაგებობის (საწყობი) მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის და შესასრულებელი სამუშაოების შესაძლებლობის შესახებ

ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძეს”

დირექტორი: ი. გეფერიძე

ინჟ-კონსტრუქტორი: ი. გეფერიძე

შეასრულა: ი. გეფერიძე

ქ. თბილისი 2014 წელი

ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძე”

მისამართი: ქ. თბილისი, ლ. არდაზიანის ქუჩა №30. ს/კ 01024028796. ტელ: 599 37 14 02

ქ. თბილისი

11 სექტემბერი 2014 წელი.

ექსპერტიზის დასკვნა

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა.

დამნიშნავი: შ.პ.ს. „გაგრა პლიუსი”

მისამართი: ქ. თბილისი, ფეიქრების ქუჩა №12

შემსრულებელი ექსპერტი: ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძეს“ დირექტორი, ექსპერტი, განათლება უმაღლესი, პროფესია ინჟინერ-მშენებელი (ინჟინერ-კონსტრუქტორი) იუზა გეფერიძე – სპეციალობით მუშაობის სტაჟი – 30 წელი.

ექსპერტიზის წინაშე დასმული შეკითხვები:

გთხოვთ ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა №12-ში არსებული შენობა-ნაგებობების (საწყობის) მზიდი კონსტრუქციების მდგრადობას და შესასრულებელი სამუშაოების შესაძლებლობას ჩაუტაროთ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა.

დასკვნა

ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა №12-ში არსებული შენობა-ნაგებობის (საწყობი) მზიდი კონსტრუქციები არის მდგრადი და საიმედო. საწყობის რეკონსტრუქციის ჩასატარებლად შესასრულებელი სამუშაოების წარმოება შესაძლებელია წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძეს"

დირექტორი: ი. გეფერიძე

ინჟ-კონსტრუქტორი: ი. გეფერიძე

შეასრულა: ი. გეფერიძე

გამოკვლევა

საინჟინრო-ტექნიკურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ინდივიდუალური მეწარმე „მამუკა კაპანაძის" მიერ დამუშავებული ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა №12-ში არსებული შენობა-ნაგებობის (საწყობი) რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) პროექტი, რაზედაც ქ. თბილისის მერიის სსიპ „თბილისის არქიტექტურის სამსახურში" 2014 წლის 26 აგვისტოს AR1246638 განცხადებით მოთხოვნილია პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა.

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა №12-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.11.19.006.008). საპროექტო შენობა-ნაგებობა აშენებულია 80-იან წლებში. წარმოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტით რეკონსტრუქცია

უტარდება საწყობს. კერძოდ ხდება არსებული უნებართვოდ მოწყობილი გადახურვის (ფარდულის) დემონტაჟი და მის ადგილას გათვალისწინებულია მიშენება-დაშენება, ასევე რეკონსტრუქცია (დაშენება) უტარდება საწყობის უკანა ნაწილს.

ობიექტის ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ძირითადი შენობა-ნაგებობის (საწყობი) მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს ანაკრები რკინაბეტონის კონსტრუქციები. მათ შორის ანაკრები რკინაბეტონის სვეტების კვეთია 400X400მმ.

ანაკრები რკინაბეტონის სვეტები ერთმანეთთან შეერთებულია ანაკრები რკინაბეტონის რიგელებით. გადახურვა მოწყობილია ანაკრები რკინაბეტონის წიბოვანი ფილებით, რომლებიც ელექტროშედუღებით შეერთებულია ანაკრები რკინაბეტონის რიგელებზე. ანაკრები რკინაბეტონის სვეტებს შორის მანძილია 5600მმ. გარეთა კედლები მოწყობილია ანაკრები რკინაბეტონის საკედლე პანელებით, რომლებიც შეკიდულია ანაკრები რკინაბეტონის სვეტებზე. ვიზუალური დათვალიერებით შენობა-ნაგებობას (საწყობს) დეფორმაციები და ბზარები არ აღენიშნება. შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები არის მდგრადი და საიმედო.

გარდა ამისა ახალი მიშენებულ-დაშენებული ნაწილის მშენებლობა გათვალისწინებულია ლითონის კონსტრუქციებით, სართულშუა გადახურვა და სახურავის მოწყობა გათვალისწინებულია ხის კონსტრუქციებით. არსებული ლითნის სვეტების დიამეტრია დ=160–200მმ. ლითონის სვეტები ერთმანეთთან შეერთებულია ლითონის ფერმებით, რომლებიც ლითონის სვეტებთან შეერთებულია ელექტრო შედუღებით, ხოლო ფერმებზე ზემოდან გათვალისწინებულია ხის მსუბუქი გადახურვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა №12-ში არსებული შენობა-ნაგებობის (საწყობი) მზიდი კონსტრუქციები არის მდგრადი და საიმედო. ამასთანავე არსებული შენობა-ნაგებობის საწყობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება არ გამოიწვევს არსებული შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების ამტანუნარიანობის შემცირებას.

ინდივიდუალური მეწარმე „იუზა გეფერიძეს”

დირექტორი: ი. გეფერიძე

ექსპერტი:

ინჟ-კონსტრუქტორი: ი. გეფერიძე

გამოყენებული მასალები:

- ინდივიდუალური მეწარმე „მამუკა კაპანაძის” მიერ დამუშავებული ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა №12-ში არსებული შენობა-ნაგებობის საწყობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) პროექტი.
- სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომედეგი მშენებლობა” (პ.ნ. 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის №1-1/2284 ბრძანება.